

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის

ჩარჩ დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

კ ა ტ ა ლ ო გ ი

სახე: უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზ. №16

ტელეფონი: 277 65 71; 277 31 38

ფაქსი: 277 65 72

ელ.ფოსტა: mail@ssu.edu.ge

საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება

პროფესიული განათლების საფეხური	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია „საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში (B1)“; მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია „საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში (B2)“
მიზნები	<p>პროფესიული პროგრამის მიზანია მოამზადოს ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) სტანდარტების შესაბამისი ტექნიკური მომსახურების სპეციალისტები. პროფესიული პროგრამის განხორციელების შედეგად ავიასპეციალისტი კონკურენტუნარიანი იქნება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებას მიმართულებით:</p> <p>B1.1 - აირტურბინული ძრავების მქონე თვითმფრინავის კონსტრუქციული ელემენტების, აღჭურვილობის, ფუნქციური სისტემების და ძალური დანადგარის მომსახურება.</p> <p>B2 - საჰაერო ხომალდის მოწყობილობების, ავიონიკისა და ელექტრული სისტემების მომსახურება.</p>
შედეგები	<p>პროფესიული პროგრამის შინაარსი და სწავლების ხარისხი უზრუნველყოფს იმგვარი სწავლის შედეგების მიღწევასა და კომპეტენციების გამომუშავებას, რომლის შედეგად პირს შეუძლია ავიასპეციალისტის მოწმობის მოპოვება.</p> <p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• B1.1 - საჰაერო ხომალდების მექანიკური სამონტაჟო სამუშაოების, ელექტრობის, აირტურბინული ძრავების მქონე თვითმფრინავის კონსტრუქციული ელემენტების, ასევე ძალური დანადგარის, აღჭურვილობისა და სისტემების მომსახურება.</li> <li>• B2 - საჰაერო ხომალდების მექანიკური სამონტაჟო სამუშაოების, ელექტრობის, ავიონიკის სისტემებისა და მოწყობილობების, საავიაციო გენერატორებისა და ელექტრომომარაგების მოწყობილობების მომსახურება.</li> </ul>

	<p>დასაქმების სფეროა ავიაცია და აუცილებელი პირობაა შესაბამისი ლიცენზიის ფლობა - „საკაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის მოწმობა“.</p> <p>მოწმობის ტიპის მიხედვით დასაქმების შესაძლებლობებია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• B1.1 - საკაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სპეციალისტს შეუძლია იმუშაოს აირტურბინული ძრავების მქონე თვითმფრინავზე, შესაბამისი მოწმობის ადების მერე (რომელიც საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად სპეციალისტმა უნდა აიღოს სწავლების დასრულების შემდეგ) შემდეგ პოზიციებზე: <ul style="list-style-type: none"> <li>○ აირტურბინული ძრავების მონტაჟის სპეციალისტი;</li> <li>○ ტექნიკური მომსახურების ზედამხედველი;</li> <li>○ ძალური დანადგარების მექანიკოსი;</li> <li>○ პლანერის მექანიკოსი;</li> <li>○ აირტურბინული ძრავების მქონე თვითმფრინავების მომსახურების ტექნიკოსი;</li> <li>○ აირტურბინული ძრავების მქონე თვითმფრინავების პნევმოსისტემის მექანიკოსი;</li> </ul> </li> <li>• B2 - შეუძლია იმუშაოს ნებისმიერი ტიპის სამოქალაქო საკაერო ხომალდის ავიონიკის ტექნიკოსის პოზიციებზე მოწმობის ადების შემდეგ.</li> </ul> <p>პროფესიული პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურზე ინჟინერიის მიმართულებით. ხოლო საერთაშორისო რეგულაციებით განსაზღვრული სტაჟის დაგროვების შემდეგ შეძლებს C კატეგორიის მოწმობის აღებას.</p>
<p><b>პროგრამის მოცულობა</b></p>	<p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა ორი წელი, სრული დატვირთვით. ევროკომისიის რეგულაციის #1321/2014 მიხედვით თეორიული სწავლება უნდა მიმდინარეობდეს დღეში არაუმეტეს ექვსი ასტრონომიული საათისა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ზოგადი უნარების განმავითარებელ მოდულებს 6 კრედიტის მოცულობით, საერთო პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს 27 კრედიტის მოცულობით, რომელთა გავლის შემდეგ პროფესიულმა სტუდენტმა უნდა გააკეთოს არჩევანი ორ მიმართულებას შორის B1.1 (აირტურბინული ძრავების მქონე თვითმფრინავების ტექნიკური მომსახურება) ან B2 (ავიონიკის ტექნიკური მომსახურება). B1.1 კრედიტთა მოცულობაა 94.5, ამათგან პრაქტიკული კომპონენტია 40 კრედიტი, ხოლო B2 მიმართულების მოცულობაა 88.5 კრედიტი, ამათგან პრაქტიკული კომპონენტია 41 კრედიტი.</p> <p>პროფესიული სტუდენტი რომელიც აირჩევს B1.1 მიმართულებას საერთო ჯამში უნდა დააგროვოს 127.5 კრედიტი, ხოლო პროფესიული სტუდენტი რომელიც აირჩევს B2 მოდულებს საერთო ჯამში უნდა დააგროვოს 121.5 კრედიტი.</p>
<p><b>პროფესიული სტუდენტის შეფასება</b></p>	<p>პროფესიული სტუდენტის შეფასების მიდგომები განსაზღვრული ინდივიდუალურად მოდულებში, თუმცა აქ წარმოდგენილია ძირითადი პრინციპები, რომელიც უნდა იყოს გათვალისწინებული.</p> <p>პროფესიული სტუდენტების შეფასება მოდულების სწავლებისას ხორციელდება განმსაზღვრელი შეფასებით. შესაძლოა პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ინდივიდუალურად გამოყენებულ იქნას განმავითარებელი შეფასებები, თუმცა ქულების მინიჭების გარეშე.</p> <p>პროფესიულ/დარგობრივ თეორიულ მოდულებში განმავითარებელი შეფასება ითვალისწინებს მოდულებში განსაზღვრული სწავლის შედეგების ერთიანად შეფასებას ფინალური ღია/დახურული ტესტირებით, რომელშიც</p>

	<p>პროფესიულმა სტუდენტმა რაოდენობრივად არანაკლებ 75% დადებითად უნდა უპასუხოს, რომ კრედიტი მოპოვებულად ჩაეთვალოს.</p> <p>განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:</p> <p>ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;</p> <p>ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.</p> <p>განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი კიდევ ორჯერ შეფასება (ორივე შეფასება არაუმეტეს ერთი თვის ვადაში). სამივე მცდელობის შედეგად სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულმა სტუდენტმა მოდული ახლიდან უნდა გაიაროს. ამ შემთხვევაში მოდულზე სწავლა იწყება გამოცდაზე ჩაჭრის თარიღიდან არანაკლებ 90 დღის შემდეგ.</p>
საკონტაქტო პირი	სიმონ ჟამურაშვილი: 595 65 99 77; ბექა ბუიძე 598 64 44 07
<b>საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია</b>	
პროფესიული განათლების საფეხური	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციაში (CPL)
მიზნები	<p>პროფესიული პროგრამის მიზანია საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის სფეროში EASA-ს (ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს) სამოქალაქო ავიაციის ეკიპაჟის წევრების მიმართ დადგენილი მოთხოვნებისა და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის #150 ბრძანებით დამტკიცებული „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების“ შესაბამისად უზრუნველყოფს საერთაშორისო ბაზარზე მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, რომელსაც ექნება კომერციული პილოტის მოწმობის მოსაპოვებლად საჭირო ყველა ცოდნა და კომპეტენცია.</p>
შედეგები	<p>პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:</p> <p>შვეულმფრენის საფრენოსნო ექსპლუატაციის მიმართულებით: „ვიზუალური ფრენის წესებით“ ფრენისა და დამის ფრენების შვეულმფრენით შესრულება, ფრენისათვის საჭირო მეტეოროლოგიური ინფორმაციის მოძიება/დამუშავება, სანავიგაციო სისტემებით შვეულმფრენის მართვა.</p> <p>დასაქმების სფეროა ავიაცია. კომერციულ პილოტს შეუძლია იმუშაოს ერთი პილოტით საფრენად სერტიფიცირებულ საჰაერო ხომალდზე მეთაურის რანგში, ასევე მართოს პირადი შვეულმფრენი. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, ფრენისთვის აუცილებელია საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაიცეს პილოტის მოწმობა.</p>
პროგრამის მოცულობა	<p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ერთ პროფესიულ კვალიფიკაციას საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციაში (CPL) H მიმართულებით - შვეულმფრენის კომერციული პილოტი). სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორი სასწავლო წლის განმავლობაში, კრედიტების ჯამური რაოდენობით 59 – 1475 საათი.</p>

	<p>პროფესიული პროგრამა მოიცავს ზოგად, საერთო პროფესიულ/დარგობრივ და კონკრეტული მიმართულების (CPL (H)) პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ორი ზოგადი მოდული, კრედიტთა ჯამური რაოდენობაა 6;</li> <li>• პროფესიული/დარგობრივი მოდულების კრედიტთა ჯამური რაოდენობაა 38;</li> <li>• მიმართულების (CPL (H)) კრედიტთა ჯამური რაოდენობაა 15;</li> </ul> <p>პროფესიული პროგრამა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს, მათ შორის პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს საფრენოსნო მომზადებას 135 ფრენა/საათის მოცულობით.</p> <p>პროფესიული პროგრამის განხორციელება დაიწყება ზოგადი მოდულებით, შემდეგ პროფესიული/დარგობრივი მოდულები განხორციელდება კურსიული სისტემით, ხოლო პრაქტიკის კომპონენტი გათვალისწინებულია პროგრამის ბოლო ეტაპზე.</p>
<p><b>პროფესიული სტუდენტის შეფასება</b></p>	<p>პროფესიული სტუდენტის შეფასების მიდგომები განსაზღვრულია ინდივიდუალურად მოდულებში, თუმცა აქ წარმოდგენილია ძირითადი პრინციპები, რომელიც უნდა იყოს გათვალისწინებული.</p> <p>პროფესიული სტუდენტების შეფასება მოდულების სწავლებისას ხორციელდება განმსაზღვრელი შეფასებით. შესაძლოა პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ინდივიდუალურად გამოყენებულ იქნას განმავითარებელი შეფასებები, თუმცა ქულების მინიჭების გარეშე.</p> <p>პროფესიულ/დარგობრივ თეორიულ მოდულებში განმავითარებელი შეფასება ითვალისწინებს მოდულებში განსაზღვრული სწავლის შედეგების ერთიანად შეფასებას ფინალური ღია ტესტირებით, რომელშიც პროფესიულმა სტუდენტმა რაოდენობრივად არანაკლებ 75% დადებითად უნდა უპასუხოს, რომ კრედიტი მოპოვებულად ჩაეთვალოს.</p> <p>განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;</li> <li>ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.</li> </ol> <p>განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი კიდევ ორჯერ შეფასება (ორივე შეფასება არაუმეტეს ერთი თვის ვადაში). სამივე მცდელობის შედეგად სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულმა სტუდენტმა მოდული ახლიდან უნდა გაიაროს.</p>
<p><b>საკონტაქტო პირი</b></p>	<p>გიორგი ინასარიძე: 599 74 20 40.</p>